საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N12

ბათუმი

08 ოქტომბერი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონების სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-10 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის N791 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი, 5-6 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2, მე-4 და მე-7 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის N63 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი"-ს მე-4 მუხლის პირველი, 5-6 პუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ლ" და „ნ" ქვეპუნქტების შესაბამისად, სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 23 სექტემბრის N09-02-15/740 (MES 5 21 0000968103, 23.09.2021) მომართვის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „FORD TRANSIT 430E2.2L" (ავტობუსი 17+1 ადგილი, სახელმწიფო ნომერი: SC502AU, საიდენტიფიკაციო ნომერი: NMODXXTTFDCA16894, ფერი: რუხი 1/8, გამოშვების წელი: 2012, საბალანსო ღირებულება: 63000 (სამოცდასამი ათასი) ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება: 14193 (თოთხმეტიათას ას ოთხმოცდაცამეტი) ლარი).

2. დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის ბუღალტერიას (ქეთევან რომანაძე), არსებული წესის შესაბამისად, უზრუნველყოს ხსენებული ავტომანქანის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ბალანსიდან მოხსნა.

ასლი სწორია:

3. სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის ხსენებული ავტომანქანის გადაცემა განხორციელდეს მიღება-ჩაბარების აქტით. აღნიშნული ავტომანქანის სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წარმომადგენლისათვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაბარება დაევალოს და უმაღლესი საბჭოს აპარატის სახელით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ზვიად ფარტენაძეს.

4. უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ზვიად ფარტენაძეს მიენიჭოს უფლებამოსილება იმოქმედოს უმაღლესი საბჭოს აპარატის სახელით სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და ხელი მოაწეროს აღნიშნული ავტომანქანის სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა საბუთს.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს დავით დუმბაძეს.

6. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ზვიად ფარტენაძეს.

7. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან (ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა N37) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჭურკელიძე

სატრანსპორტოსაშუალების

მ ი ღ ე ბ ა – ჩ ა ბ ა რ ე ბ ი ს

ა ქ ტ ი

ქ. ბათუმი 01ნოემბერი 2021წელი

ჩვენ, ერთი მხრივ -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ზვიად ფარტენაძე (პ/ნ 61001022059) და მეორე მხრივ - სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მინდია შუღლაძე (პ/ნ 61003003869), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2021 წლის 08 ოქტომბერი №12 ბრძანების პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ვაფორმებთ წინამდებარე მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ზვიად ფარტენაძემ ჩააბარა, ხოლო სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა მინდია შუღლაძემ ჩაიბარააჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2021 წლის 08 ოქტომბერი №12 ბრძანებით, უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის უსასყიდლოდ, არსებობის ვადით სარგებლობაში გადაცემული ავტომანქანა „FORD TRANSIT430E2.2L~ (ავტობუსი 17+1 ადგილი, სახელმწიფო ნომერი: SC502AU, საიდენტიფიკაციო ნომერი: NMODXXTTFDCA16894, გამოშვების წელი: 2012) გამართულ და ექსპლუატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში.

მიღება - ჩაბარების აქტი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზეპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან

მიღება - ჩაბარების აქტი შედგენილია ჩვენს მიერ სწორია რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

ჩააბარა:

სატრანსპორტო საშუალებათა
მართვისა და ექსპლუატაციის
განყოფილების მეორე კატეგორის
უფროსი სპეციალისტი: / ზვიად ფარტენაძე /

ჩაიბარა:

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური
უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: / მინდია შუღლაძე /

GE

რეგისტრაციის მოწმობა
REGISTRATION CERTIFICATE
საქართველო / GEORGIA

A SC502AU (რეგისტრაციის ნომერი / Registration number)
B 2011 (ს.ტრ. საშ. გამოშვების წელი / Manufacture year of the vehicle)
I 03/11/2021 (რეგისტრაციის თარიღი / Date of registration)

C.1.1 აჭარის ა რ უმაღლესი სამეფოს აპარატი\SUPR.COUN OF AR ADJARA
C.1.2
C.1.3 ბათუმი ლ. ასათიანის ქ. N 37
Georgia, Batumi
C.1.4 245425749 (პ/ნ ან ს/კ / Personal number or ID code)
C.4 (a) სატრანსპორტო საშუალების მფლობელი
Owner of the vehicle
H _ (გაუქმების თარიღი / Expiration date)

BV4245483

მოწმობა გაცემულია შსს მომსახურების სააგენტოს მიერ
Certificate is issued by Service Agency of MIA

მარკა / Make	D.1	KIA
ტიპი / Type	D.2	მაღალი გამავლობის\High Passability
მოდელი / Model	D.3	SPORTAGE
ს.ტრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი / Vehicle identification number	E	KNAPB811CB7123410
სრული მასა (კგ) / Max. tech. permissible laden mass (kg)	F.1	
ნებადართული მაქს. მასა (კგ) / Permissible max. mass (kg)	F.2	
დაუტვირთავი მასა (კგ) / Unladen mass (kg)	G	
ძრავის მოცულობა (სმ³) / Engine capacity (cm³)	P.1	1998
მაქსიმალური სიმძლავრე (კვტ) / Max. net power (kW)	P.2	
საწვავის ტიპი ან ენერგიის წყარო / Type of fuel or power source	P.3	ბენზინი\Gasoline
ძრავის საიდენტიფიკაციო ნომერი / Engine identification number	P.5	
სიმძლავრე / წონის ფარდობა (კვტ / კგ) / Power / weight ratio (kW/kg)	Q	
ფერი / Colour	R	რუხი 2/8 Gray 2/8
დასაჯდომი ადგილები / Number of seats	S.1	
დასადგომი ადგილები / Number of standing places	S.2	

SC502AU

ხელს აწერენ სტრატეგიის № 22-3999
დამკვეთი: შსს მომსახურების სააგენტო
დამამზადებელია: Muehlbauer Group

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 1 ნოემბერი 2021 წ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 21 სექტემბრის N957744 წერილის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021 წლის 27 სექტემბრის N981432 წერილისა და სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 21 ოქტომბრის N01-03/37 ბრძანების საფუძველზე ერთ მხრივ სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური განყოფილების უფროსმა გოჩა კახიძემ და მეორე მხრივ აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლოატაციის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა ზვიად ფარტენაძემ ეს აქტი შევადგინეთ მასზედ, რომ სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ჩააბარა, ხოლო აჭარის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 1 ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება „KIA SPORTAGE". გამოცემის თარიღი 2011 წელი. სახელმწიფო ნომერი: UH-164-HU. რეგისტრაციის ნომერი: KNAPB811CB7123410. ნარჩენი ღირებულება 0 (ნული) ლარი.

სატრანსპორტო საშუალებას გააჩნია ვიზუალური დეფექტები (ნაკაწრები) და დაზიანებული აქვს უკანა ფარი (სტოპი).

აქტი სწორია რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

ჩააბარა მინდია შუღლაძე

მიიღო ზვიად ფარტენაძე

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

GEORGIA
ENTITY OF PUBLIC LAW
Agency For Cultural
Heritage Preservation
Of Ajara

MES 5 21 0000968103

23/09/2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის უფროსს ბატონ ზურაბ ჭურკვეიძეს

ბატონო ზურაბ,

თქვენი 2021 წლის 21 სექტემბრის N09-02-16/526 წერილის პასუხად გაცნობეთ, რომ სსიპ - აჭარის კულტურული მეკვიდრეების დაცვის სააგენტო თანახმაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს გადმოგცეთ სატრანსპორტო საშუალება ,,კია სპორტეიჯი'', სახელმწიფო ნომერი UH164HU.

გადმოცემული სატრანსპორტო საშუალების სანაცვლოდ გთხოვთ სამსახურებრივი საქმიანობისათვის უსასყიდლოდ გადმოგვცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალება „ფორდ ტრანზიტი", სახელმწიფო ნომერი SC502AU.

დირექტორის მ/შ
ოლეგ ბოლქვაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №01-03/37

„21" სექტემბერი 2024წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოზე ქონების გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბერის №63 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2021წლის 27 სექტემბრის N981432 წერილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2021 წლის 21 სექტემბრის N957744 წერილის, სსიპ –აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დებულებისმე-8 მუხლისა და მე–5 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტის თანახმად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სარგებლობაში მყოფი ავტომობილი ,,კია სპორტიჯი" (სახ. N UH-164-HU, გამოშვების წელი 2011, საიდენტიფიკაციო ნომერი KNAPB811CB7123410, ფერი: რუხი 2/8) უსასყიდლოდ არსებობის ვადით სარგებლობაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.
2. ქონების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების გაფორმება უზრუნველყოს სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა მინდია შუღლაძემ.
3. სააგენტოს სამეურნეო და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა მინდია შუღლაძეს (პირადი N61003003869) მიენიჭოს უფლებამოსილება იმოქმედოს აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სახელით სსიპ - სინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და ხელი მოაწეროს ზემოაღნიშნული ავტომანქანის აჭარის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა საბუთს.
4. სააგენტოს ბუღალტერმა (ნ.ბოლქვაძე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

5. ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი პირებზე გაცნობა უზრუნველყოს ადმინისტრაციულ განყოფილებამ (ნ. მამულაიშვილი).

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის: ქალაქი ბათუმი, ლ.გუდიაშვილის ქ. №4) ან ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი,ზუბალაშვილის ქ. №30) კანონდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს დირექტორის მ/შ **ოლეგ ბოლქვაძე**